საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

N 83
14/12/2022

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აგროსერვის ცენტრის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის N83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის N32 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ” ქვეპუნქტის, ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის 09/12/2022წ. Nაგრო-01/575 კორესპონდენციის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აგროსერვის ცენტრის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის N83 ბრძანებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) შეტანილი იქნეს ცვლილებები ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აგროსერვის ცენტრის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის N83 ბრძანების 1-ლი პუნქტით დამტკიცებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აგროსერვის ცენტრის წესდებაში და დამტკიცდეს ახალი წესდება თანდართული რედაქციით.

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა ,,აგროსერვის ცენტრი“ (N(N)JP - AGROSERVICE CENTRE), შემდგომში – აგროსერვის ცენტრი.“;

გ) ბრძანების მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. აგროსერვის ცენტრის დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, იურიდიული მისამართი: აკ. მამია კომახიძის ქ. N119, ს/კ: 245428265.“.

2. სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (ა. თავდგირიძე) უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბრძანების გაცნობა შესაბამის პირებზე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მისამართი ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30, ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ზაზა შავაძე

მინისტრი

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგროსერვის ცენტრის“
წ ე ს დ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელწოდება და იურიდიული მისამართი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აგროსერვის ცენტრი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის N10 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე–3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის დარგში საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობას; ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის, ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას; არსებული სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობების შექმნას; სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი/სათესლე მასალის გავრცელების ხელშეწყობას; თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობას; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხელშეწყობას; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდების პოპულარიზაციას და შესაბამისი მომსახურების გაწევას; მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობას; ხელოვნური განაყოფიერების ცენტრის (სერვისის) მოწყობასა და შესაბამისი მომსახურების გაწევის უზრუნველყოფას; მეფრინველეობის განვითარების ხელშეწყობას; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების, აგროტურების და სხვა მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებასა და შესაბამისი მომსახურების გაწევას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობას; სოფლის ან/და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, პროექტების დაფინანსებას; კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონში სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და სხვა.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: ,,აგროსერვის ცენტრი“ (N(N)JP - AGROSERVICE CENTRE), შემდგომში – აგროსერვის ცენტრი.

3. აგროსერვის ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N46ᵃ.

მუხლი 2. აგროსერვის ცენტრის სტატუსი

1. აგროსერვის ცენტრი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, გარდა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობისა, რომლიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს აგროსერვის ცენტრის მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

2. აგროსერვის ცენტრის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

3. აგროსერვის ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. აგროსერვის ცენტრი კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს,

საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში და არბიტრაჟში, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. აგროსერვის ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბიუჯეტი, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში აგროსერვის ცენტრი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) წინაშე.

მუხლი 3. აგროსერვის ცენტრის მიზნები და ამოცანები

აგროსერვის ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) სოფლის მეურნეობის დარგში საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის/ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და მათი საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურება;

გ) არსებული სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობების შექმნა;

დ) თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, არსებული და ინტროდუცირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, პერსპექტიული სარგავი/სათესლე მასალის წარმოება;

ე) თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა;

ვ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი/სათესლე მასალის გავრცელების ხელშეწყობა;

ზ) ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხელშეწყობა;

თ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდების პოპულარიზაცია და შესაბამისი მომსახურების გაწევა;

ი) მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის მეცხოველეობის დარგში ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვისა და მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზის განვითარების ხელშეწყობა;

კ) ხელოვნური განაყოფიერების ცენტრის (სერვისის) მოწყობა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა;

ლ) მეფრინველეობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის არსებული და პერსპექტიული სახეობებისა და ჯიშების ფრინველის სანაშენე ბაზის განვითარების ხელშეწყობა;

მ) მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში არსებული და პერსპექტიული ჯიშების გავრცელების ხელშეწყობა;

ნ) ახალი ჯიშების სარგავი/სათესლე მასალის გამოყვანისა და მის წარმოებაში დანერგვასთან, ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლებასა და ჯიშთგანახლებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება-განხორციელებაში მონაწილეობა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების სარგავი და სათესლე მასალის, მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში არსებული და პერსპექტიული ჯიშების ცხოველებისა და ფრინველების მიწოდებაზე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერებისა და სხვა მომსახურებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა;

პ) ფერმერთა საქმიანობის მხარდაჭერა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, ფერმერულ ორგანიზაციებთან სახელმწიფო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით;

ჟ) ფერმერთა და აგრომეწარმეთა წახალისებისა და ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისის გამოფენაგაყიდვების, აგროტურებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება და შესაბამისი მომსახურების გაწევა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა;

რ) სოფლის ან/და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, პროექტების დაფინანსება;

ს) პრიორიტეტული მიმართულებების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ინიციირება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

ტ) სამელიორაციო სისტემების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

უ) რეგიონში არსებული სამელიორაციო სისტემების გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მათი მოვლა-შენახვისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა;

ფ) რეგიონში მიწის მელიორაციის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და სამელიორაციო სისტემების განვითარებისა, რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება;

ქ) სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვის, შეკეთების და მოდერნიზაციის სამუშაოებზე საპროექტო დავალებების დოკუმენტაციის მომზადება;

ღ) საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, შეფასება და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, მათი სალიკვიდაციო სამუშაოების კოორდინაცია. ექსტრემალურ პირობებში სამელიორაციო სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა;

ყ) სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვის და შეკეთების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველყოფა;

შ) სამელიორაციო სისტემების მიმდებარე ზოლში ინფრასტრუქტურის განვითარების რეგულირებისა და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და განვითარების საქმიანობათა დადგენილი წესით შეთანხმების უზრუნველყოფა, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში შემავალი იმ სამუშაოების პროექტირება, რომლებიც არ საჭიროებენ საპროექტო კვლევა-ძიებას;

ჩ) ცენტრის სამელიორაციო სისტემების განვითარების პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ზედამხედველობა და კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა;

ც) დარგის განვითარების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 4. აგროსერვის ცენტრის უფლება-მოვალეობები

აგროსერვის ცენტრი უფლებამოსილია:

ა) უშუალოდ წარმართოს აგროსერვის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა;

ბ) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და სხვა ქვეყნების ფიზიკურ/იურიდიულ პირებთან და დონორ ორგანიზაციებთან;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ აგროსერვის ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

დ) მონაწილეობა მიიღოს სოციალურ ღონისძიებებში, გამოფენებში, შეხვედრებში, პრეზენტაციებში, კონკურსებში და სხვა;

ე) მოიძიოს გრანტები;

ვ) გასცეს დაფინანსება;

ზ) გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში;

თ) განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები, წინადადებები და დროულად მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

ი) გამართოს თათბირები, სემინარები და კონფერენციები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

კ) განახორციელოს კანონით აუკრძალავი, ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი სხვა საქმიანობა.

თავი II. აგროსერვის ცენტრის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 5. აგროსერვის ცენტრის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები)

1. აგროსერვის ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და პროგრამების/ ქვეპროგრამების მართვის სამსახური;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და საფინანსო ანგარიშგების სამსახური.

2. აგროსერვის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციებია:

ა) ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და პროგრამების/ ქვეპროგრამების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია აგროსერვის ცენტრის საქმიანობისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა; შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაცია და მათი შესრულების კონტროლი; აგროსერვის ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა; თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება; სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება; აგროსერვის ცენტრის საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველყოფა, დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ, საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, აგროსერვის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების კოორდინაცია, ზედამხედველობა და კონტროლი. აგროსერვის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება, ცენტრალიზებული მომარაგების ორგანიზება, სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, აგროსერვის ცენტრის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვისა და მოვლა-შენახვის ორგანიზება, აგროსერვის ცენტრის შენობა-ნაგებობებში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, სასაწყობო მეურნეობის წარმართვა, აგროსერვის ცენტრის სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფა, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურად გამართულობის, საწვავით უზრუნველყოფის ორგანიზება, საწვავის გაცემის აღრიცხვა და ხარჯვის კონტროლი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე წლიური მოთხოვნილების განსაზღვრა, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის ახალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ტექნიკის დანერგვის უზრუნველყოფა და სხვა.

აგროსერვის ცენტრის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და პროგრამების/ქვეპროგრამების მართვის სამსახურის ფუნქციებში შედის აგროსერვის ცენტრის პროგრამების/ქვეპროგრამების მართვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას: მემცენარეობის დარგში საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა; სადემონსტრაციო ხასიათის საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობების შექმნისათვის წინადადებების მომზადება; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შეძენა-განახლების მიზნით წინადადებების მომზადება; ახალი, თანამედროვე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების გაცნობა და დემონსტრირება მათი რეგიონში დანერგვის მიზნით; მოწინავე აგრარულ ქვეყნებში აპრობირებული მაღალეფექტური სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შესწავლა,

ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება; ფერმერებისა და მიწათმოსარგებლების ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფის არსებული სისტემის ფორმირებისათვის, მუდმივად განახლების რეჟიმში, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება; თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის მიზნით, რეკომენდაციების მომზადება ფერმერთა და მიწათმოსარგებელთათვის არსებული სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობების მართვა, მოვლა-პატრონობა და განვითარება; ახალი ჯიშების სარგავი/სათესლე მასალის გამოყვანისა და მისი წარმოებაში დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება - განხორციელებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი და სათესლე მასალის გავრცელების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდების პოპულარიზაცია და შესაბამისი მომსახურების გაწევა; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების, აგრო ტურებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება და შესაბამისი მომსახურების გაწევა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება; ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის/ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და მომსახურების გაწევა; სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა; ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, მათი დანერგვის მიზნით; მეცხოველეობის განვითარების, მათ შორის ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვისა და მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა პირუტყვის სანაშენე ბაზის განვითარების ხელშეწყობისათვის, ხელოვნური განაყოფიერების ცენტრის (სერვისის) მოწყობის წინადადებების შემუშავებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა; მეფრინველეობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის არსებული და პერსპექტიული სახეობებისა და ჯიშების ფრინველის სანაშენე ბაზის განვითარების ხელშეწყობა; მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში არსებული და პერსპექტიული ჯიშების გავრცელების ხელშეწყობა; ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლებისა და ჯიშთგანახლებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და ღონისძიებების განხორციელება; მერძეული და მეხორცული მიმართულების მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლის ზრდის და სტაბილურად შენარჩუნების მიზნით საკვები რაციონის შესახებ რეკომენდაციების გაცემა; ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით წლის განმავლობაში აუცილებელი ვეტერინარული და სანიტარული ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, მოსახლეობისათვის ნიადაგის კვლევითი მომსახურების გაწევა; კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა და კოორდინირებული საქმიანობა; სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ექსტენციის ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა; პრიორიტეტული მიმართულებების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ინიციირება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა; სამელიორაციო სისტემების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება; რეგიონში არსებული სამელიორაციო სისტემების გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მათი მოვლა-შენახვისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა; რეგიონში მიწის მელიორაციის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და სამელიორაციო სისტემების განვითარების, რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება; სამელიორაციო სისტემების

რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვის, შეკეთების და მოდერნიზაციის სამუშაოებზე საპროექტო დავალებების დოკუმენტაციის მომზადება; საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, შეფასება და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, მათი სალიკვიდაციო სამუშაოების კოორდინაცია; ექსტრემალურ პირობებში სამელიორაციო სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა; სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვის და შეკეთების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველყოფა; სამელიორაციო სისტემების მიმდებარე ზოლში ინფრასტრუქტურის განვითარების რეგულირებისა და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და განვითარების საქმიანობათა დადგენილი წესით შეთანხმების უზრუნველყოფა, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში შემავალი იმ სამუშაოების პროექტირება, რომლებიც არ საჭიროებენ საპროექტო კვლევა-ძიებას; ცენტრის სამელიორაციო სისტემების განვითარების პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ზედამხედველობა და კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა და სხვა.

ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და საფინანსო ანგარიშგების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია აგროსერვის ცენტრის საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობის წარმართვა, აგროსერვის ცენტრის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, აგროსერვის ცენტრის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ფულადი სახსრების ანგარიშსწორებებისა და მატერიალურ ფასეულობათა შეფასება, ინვენტარიზაციის შედეგების განსაზღვრა და აღრიცხვა, აგროსერვის ცენტრისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა რესურსების ხარჯვისა და განკარგვის კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის კონტროლი და სხვა.

მუხლი 6. აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელობა

1. აგროსერვის ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).

2. აგროსერვის ცენტრის დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს აგროსერვის ცენტრის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს აგროსერვის ცენტრის საშტატო ნუსხას და ბიუჯეტს;

გ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს აგროსერვის ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს აგროსერვის ცენტრის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა აგროსერვის ცენტრის სარგებლობასა და საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აგროსერვის ცენტრის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომის ხელშეკრულებებს აგროსერვის ცენტრის თანამშრომლებთან და დროებით მიწვეულ პირებთან; იღებს გადაწყვეტილებებს აგროსერვის ცენტრის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებას;

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს აგროსერვის ცენტრის შინაგანაწესს;

თ) ამტკიცებს აგროსერვის ცენტრის სამუშაო გეგმას, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ი) მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს აგროსერვის ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს;

კ) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის სამუშაო ჯგუფებს (კომისიებს);

ლ) ისმენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სხვათა ინფორმაციას (ანგარიშები) და სამინისტროს მოთხოვნისთანავე წარუდგენს ინფორმაციას (ანგარიშები) აგროსერვის ცენტრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით;

მ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობები.

3. აგროსერვის ცენტრის დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებსაც აგროსერვის ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრი აგროსერვის ცენტრის დირექტორის წარდგინებით, ხოლო თანამდებობიდან ანთავისუფლებს მინისტრი აგროსერვის ცენტრის დირექტორის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით.

4. აგროსერვის ცენტრის დირექტორის მოადგილეების ფუნქციების განსაზღვრა და მათ შორის უფლებამოსილების განაწილება ხორციელდება აგროსერვის ცენტრის დირექტორის მიერ.

5. აგროსერვის ცენტრის დირექტორის არყოფნისას, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან აგროსერვის ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აგროსერვის ცენტრის დირექტორის მოვალეობას დროებით ასრულებს აგროსერვის ცენტრის დირექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული მისი ერთ-ერთი მოადგილე.

თავი III. ქონება და ფინანსები

მუხლი 7. აგროსერვის ცენტრის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. აგროსერვის ცენტრი ფლობს და განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის სარგებლობაში გადაცემულ ქონებას, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. აგროსერვის ცენტრის ქონებას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე აგროსერვის ცენტრს ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და შექმნილი ქონება, ასევე მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება. ასეთ ქონებაზე აგროსერვის ცენტრს აქვს უსასყიდლო სარგებლობის, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება.

3. აგროსერვის ცენტრის ქონებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აგროსერვის ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტებით მიღებული სახსრები;

გ) შემოწირულობები;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;

ე) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული სახსრები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრები.

5. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ აგროსერვის ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას; აგროსერვის ცენტრის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

6. აგროსერვის ცენტრი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

თავი IV. აგროსერვის ცენტრის საქმიანობის ზედამხედველობა

მუხლი 8. საქმიანობის ზედამხედველობა

აგროსერვის ცენტრის საქმიანობის ზედამხედველობასა და კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. აგროსერვის ცენტრის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

აგროსერვის ცენტრმა სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხისა და ბიუჯეტის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებების მიღება ქონებასთან დაკავშირებით თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

თავი V. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 10. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

აგროსერვის ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავიVI. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 11. წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება მინისტრის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზაზა შავაძე



მინისტრი